


1939/2

# Հօօբյառ



1939

N5

პროლეტარები ქველა ქვეყნისა, შეერთდით!

ზოლითაღი გათოთხეთი

# კიბერი

საქ. ალექ ცენტრალური კომიტეტისა და  
საქ. განსახლოების მინისტრის მინისტრის

8 ა ი ს ი 1939 წ. № 5

გამომცემულია „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.


## მინახსა

83.

1. ალექსანდრე აბაშელი, —მაისის დროშა (ლექსი) . . . . .	1
2. ნინო ნაკაშიძე, —პირველი მაისი (მოთხოვბა) . . . . .	2
3. მარია გარათაშვილი, —მაისს სალამი (ლექსი) . . . . .	6
4. ცხვიტი, —ჯემალი (მოთხოვბა) . . . . .	7
5. სანდრო ულენტი, —მერცხლის მოფრენა (ლექსი) . . . . .	11
6. გრიბოედ ბერძენიშვილი, —მოსამსახურე (პიესა) . . . . .	12
7. დიდი რუსი სატირიკოსი, —(წერილი) . . . . .	16
8. იუპიტერის თანამგზავრები, —(წერილი) . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
9. ქალაქების სახელშოდებანი, —(გასართობი) . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ქუჩალის გაფორმება და ყდის მხატვრობა  
ეკუთვნის მხატვ. ი. ჭავჭავაძე

# მარტინ ჭიათურა



ზეცას მოსწყურდა ქუხილი,  
მიწას სახნისი მოპშივდა,  
მთაზე გადმოდგა მაისი  
აყვავებულის დროშითა.

დროშას ჩამოსწყდნენ სხივები,  
ქვეყანა შემოირბინეს,  
დაბრუნდნენ, ხეზე ჩამოსხდნენ,  
სადაც ყვავილი ბიბინებს.

— სად ნავარდობდით, სხივები,  
რა სივრცე მოითარეშეთ?  
რა ნახეთ მოსავონარი  
ჩვენი მიჯნების გარეშე?

ოქროს სხივები აულერდნენ,  
როგორც ჩონგურის სიმები:  
გნახეთო ლამის წყვდიადში  
სისხლის და ცრემლის წვიმები.

ფერფლი ვნახეთო დამწვართა,  
ჩამონგრეული სახლები,


ხალხი, დაბმული ჯაჭვითა,  
და აშვებული ძალლები.

— მაისის დროშის სხივებო,  
ისრებო დიღის ბოძოლისა!  
დღეს თქვენი ფრენის დღე არი,  
თქვენი საომრად ქროლისა.

ისწრაფეთ, კვლავ გადალახეთ  
დღისა და ღამის საზღვარი,  
რიერაჟის კარი შეაღეთ,  
სადაც ლამეა საზარი.

ექვნის წკრიალით ჩაფრინდით  
არწივთა მოშლილ ბუღეში,  
დაჭრილთა გული განკურნეთ  
ლონის მომგვრელი ნუგეშით.

წაიღეთ ჩვენი სალამი  
და ძმური დანაპირები,  
ხვალის იმედით ალაგზნეთ  
დღეს მხარშექრული გმირები.



# პირველი გაცემი

## ლიტერატურული გაცემის დღე

მაშინ თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი ვიქებოდი. ჩემი უფროსი ძმა ბათომში ქარხანაში იყო მუშად, მე კი სკოლაში ვსწავლობდი. ერთხელ, პირველი მაისის წინადღეს, სალამოს ის იყო ვახშის ჭამას ვაპირებდით, მე სუფრა უკვე დავდგი. დედამ პატარა კოჭობით ლობით გამოსწია ცეცხლის პირიდან, ჭადი არეკა, დატეხა, სუფრაზე დააწყო, რომ მოულოდნელად თავზე ჩემი ძმა დაგვადგა, თან ერთი კაცი შემოჰყვა. დედამი კინალამ გადაირია სიხარულით. მიესალმა სტუმარსაც და ორივენი ვახშიად დასვა. მე გავიქეცი და ხელადით ლვინო ამოვილე ქვევრიდან. როცა ლვინო შემოვიტანე, ჩემი ძმა რაღაცას სერიოზულად ელაპარაკებოდა დედას, და დედაც გულმოდგინედ უსმენდა.

— მე ხვალ დილით გელოდი! — უთხრა დედამ.

— ჩვენ აქაური კომიტეტის დავალებით ჩამოვეღით, — თქვა ჩემმა ძმამ, — მიტინგზე ამ ჩემმა ამხანგმა უნდა ილაპარაკოს.

დედამ შეხედა სტუმარს და გაიცინა.

— კარგი მოლაპარაკეა?

გაიცინა ჩემმა ძმამაც.

— აი, შენ თვითონ მოისმენ ხვალ.

— მოყისმენ. ჩვენ უკვე დანიშნული გვაქვს იმისთანა ადგილი, რომ ეჭვს ვერავინ ვერ აიღებს. მე უკვე ათ კაცს შევატყობინე, — თქვა დედამ და დაუმატა: — შენ ხომ იცი, ათისათავი ვარ. უფრო დაწვრილებით გეტყვის ასისთავი.

— შენ რას აკეთებ, ბიჭი გიგილავ? — მომიბრუნდა ძმა და გადამხვია ხელი, — იძახი კიდევ შენ „კაფე-თესეს“, თუ დაგვიწყდა? — უცებ მიუბრუნდა ის სტუმარს სიცილით და უთხრა:

— შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ აჯავრებს ჩემი პატარა ძმა გუგულს, — და ისევ მე მომიბრუნდა.

— აბა ერთი დაიძახე „კაფე-თესე“, გიგილა, თუ კაცი ხარ.

მე, ცოტა არ იყოს, შემრცვა სტუმრის, რომელიც, ცალწარბაწეული, ღიმილით შემომცეკროდა უსიტყვოდ. მაგრამ აბა, ჩემ ძმას როგორ გავაწილებდი და დავიძახე: „კაფე-თესე, კაფე-თესე“, ყველაზე მეტს იცინოდა სტუმარი.

— შენ, ძმავ, დიდებული კაცი ყოფილხარ, მართლა რომ გუგულის ძახილში ვერ გაარჩევ! — თქვა მან და დამკრა ბეჭჩე ხელი.

ვახშამი სწრაფად გავათავეთ.

— აბა, ახლა ენახოთ, რას გვეტყვიან კომიტეტში, — თქვა ჩემმა ძმამ და ორივენი წავიდნენ. როდესაც ისინი დაბრუნდნენ, მე უკვე მეძინა.

დილით დედამ გამაღვიძა და მითხრა:

— შევილო გიგილა, როგორც კი სწავლა გაგითავდება, მაშინვე გამოიქეცი შინ, მიტინგზე ერთად წავიდეთ.

— დედა, დღეს სამი გაკვეთილი გვაქვს და ადრე მოვალ.

სასწავლებელში რომ მივედი, რაღაც დიდი აურზაური და მითქმამოთქმა იყო, ეზოში მაზრის უფროსის ეტლი იდგა და რამდენმე ინგუში კარებთან გამოიჭიმულიყო. როდესაც ზარი გაისმა და ქლასში შევირბინეთ, მასწავლებელიც შემოვიდა და ჩქარა მაზრის უფროსი და ინსპექტორიც შემოჰყუნენ. შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე კედლებისაკენ გაიხედეს. კედლებიდან იყურებოდნენ მეფების ფერადი სურათები.

— აქ ყველაფერი რიგზეა, — თქვა ინსპექტორმა და მოგვიბრუნდა ჩვენ: — ბავშვებო, მეხუთე და მეექვსე ქლასში გუშინ, როდესაც სწავლა გათავდა, ვიღაც ავაზაქს ჩამოუგდია კედლიდან და დაუხევია მათი უდიდებულესობის სურათები და იმათ ადგილას დაუწერია საზიზლარი სიტყვები: „გაუმარჯოს პირველ მაისს“. ჩენ გავიგეთ, რომ იმ ღრუს მეორე კლასის მოწავეები ყოფილან იქ. ჩვენ კარგად ვიცით, ვინც იყვნენ, მაგრამ გვინდა თქვენ თვითონ თქვათ ყველაფერი და შეიძლება გააბრიოთ შეცდომა და დაგტოვოთ სასწავლებელში.

ჩვენ ყველანი ვდამდით. მაშინ წამოიშია მაზრის უფროსი და დაგვიყვირა:

— მე ვიცი, თქვენ ყველანი ყაჩალები და ყაჩალების შეილები ხართ! თქვენ სწავლა კი არა, კატორდა გეკუთვნით. მე დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენ აქ გუშინ „ინტერნაციონალს“ მღეროდით და თამაშობდით „ძირს ნიკოლოზს, მაღლა მუშაო“. ახლავე თქვით, ვინ მოიგონა ეს საზიზლარი თამაში, ვინ მღეროდა „ინტერნაციონალს“? თქვით, თორემ ყურებს დაგავლევოთ, ყველას გაგწებლავთ!

რადგანაც ჩვენ ვდამდით, მან განაგრძო, — დამიძახეთ ახლავე ინგუშს, მოიტანოს წევებები, — მიუბრუნდა ის ბოჭაულს, — მე ვაჩვენებ ამათ სეირს, მე

გამოვტერტყავ ამათ თავიდან ინტერნაციონალსა და  
მარსელიეზას.

ჩეენ ყველანი შეშინებული ვიდექით. უცებ გა-  
მოხტა ერთი ჩეენი ამხანაგი და გაბედულად უთხ-  
რა:

— არა, ბატონი, იქ ჩეენი კლასის მოწაფეები  
არ ყოფილან. ჩეენ, ბატონი, დიდები ვართ, იქ კი  
მეორე განკოდილების მოწაფეები იყვნენ, ჩეენ  
მეორეკლასელები ვართ.

მაზრის უფროსი უქმაყოფილოდ მოტრიალდა,  
რაღაც უთხრა ინსპექტორს და გავარდა კლასიდან.  
ინსპექტორმა კი გამოვგიცხადა:

— სასწავლებელი დახურულია, შეგიძლიათ შინ  
წახვიდეთ.

როდესაც შინ მივირბინე, ჩემი ძმა და სტუმარი  
საუზმეს შეეცეოდნენ.

— რა ამბავია. შეილო, ასე აღრე რომ დაბრუნ-  
დი? ხომ არ გამოიპარე? — მითხრა დედამ.

— არა, დედა, მეფის სურათი დახიეს მეხუთე  
კლასში და სასწავლებელი დახურეს.

— იმ, ეს ცუდი ამბავია დღევანდელი დემონსტ-  
რაციისათვის, — თქვა დედაჩემა.

— ერთის მხრით, მაგრამ მეორე მხრით არა  
უშავს, დევ, იცოდნენ, რომ ბავშვებიც მათი წი-  
ნააღმდეგი არიან, — თქვა სტუმარმა და დაუმა-  
ტა: მსვლელობაზე დღეს, უთუოდ, ხელის აღება  
მოგვიხდება. მიტინგით დავგმაყოფილდეთ.

მოვიდა ასისთავი სებასტიანე ინჭირველი. შავ-  
ჩოხიანი, მაღალი კაცი, ხელში დიდი ჯოხი ეჭი-  
რა.

— ძალიან ცუდი ამბავია. — თქვა მან — მთელი  
პოლიცია გახელებულია და ფეხზე დამდგარა, მეში-  
ნია თავს არ დაგვესხან.

— რაც უნდა მოხდეს, ჩეენ მაინც უნდა მოვაწ-  
ყოთ მიტინგი და ავაფრიალოთ ჩეენი დროშა! —  
წარმოთქვა სტუმარმა და ჩემმა ძმამაც დაუდას-  
ტურა.

— დროშებს მოვიტანთ, — თქვა ასისთავმა, —  
მაგრამ განსაკუთრებით პირველი მაისისათვის არ  
არის.

— პირველი მაისის დროშა ჩეენ გვაქვს, — წა-  
მოხტა დედაჩემი. — წამოდი, გიგილა, მოვიტანო!

— ჩეენც წამოვალთ, — უთხრა ჩემმა ძმამ და  
ყველანი წავედით მარანში.

დედამ მოხადა თავი ერთ პატარა ქვევრს კუთ-  
ხეში და ამოილო წითელი ატლასის დროშა. იმაზე  
ოქრომკედით ეწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყ-  
ნისა, შეერთდით!“, ქვემოთ კი ოქრომკედითვე იყო  
ამოქარული „გაუმარჯოს პირველ მაისს, მუშათა  
ბრწყინვალე დღესასწაულს!“

ჩემი ძმა აღტაცებაში მოვიდა, გადაეჭია და  
აკოცა დედას.

დედამ კი გაუწია მას გაშლილი დროშა და უთხ-  
რა:

— წაიღე, შეილო, ტარი იქ გაუკეთე, ეს ჩეენი  
ქალების ძლვენია პირველ მაისს.

— მაშ მე წავალ, ხალხი აწი იშეებს დენას, — თქვა  
ასისთავმა და დაუმატა: — რა ვქნა, შესაფერი ყა-  
რაული ჯერ ვერ ვიშოვნე, თუ მოგასურებ, არ  
დაგვინდობენ, დაგვხოცავენ.

ერთ წუთს ყველანი დუმდნენ. უცებ მოტრიალ-  
და ჩემეენ სტუმარი:

— აბა, გიგილაზე უკეთეს ყარაულს საუ ვიშოვ-  
ნით, გავა ხეზე, ჩაჯდება ტოტებში და თუ რამე  
საშიში, ესე იგი, კაზაქები ან მაზრის უფროსი, დაი-  
ნახა, დაიძახებს „კაფე-თესე“ და ჩეენც დავიშ-  
ლებით. — არა, გიგილა? — მომმართა მან და დაუ-  
მატა, — ვერც ვერავინ გაიგებს, ყველას გუგული  
ეგონები.

მე აღარ ვიცოდი რა მექნა სიხარულით. აქამდის  
როგორლაც განზე ვერდნობდი თავს, ახლა კი მეც  
ჩამრიეს საქმეში. სიხარულით ხმა ვეღარ ამოვი-  
ღო.

— მერე კიდევ ბავშვს რას უზამენ, — თქვა ჩემმა  
ძმამ.

— თუ მოასწრეს, მათრახით კი გაუმასპინძლდე-  
ბიან.

— არა უშავს, გიგილა, — მითხრა სტუმარ-  
მა, — ჩეენ, რევოლუციონერები, მათრახს კი არა,  
სახრჩობელასაც არ უნდა შევუშინდეთ. გაბედული  
უნდა იყო, მამაცი. მხოლოდ გამბედავებს აქვთ უფ-  
ლება რევოლუციონერები იყვნენ, მხოლოდ გამბე-  
დავებს აქვთ უფლება გაიმარჯვონ.

ეს ერთი სასკეთესო წამი იყო ჩემ ცხოვრებაში. მე  
შევხედე მის გადავარცხნილ თავს, მის გაცინე-  
ბულ შავ, წვრილ, ღრმა თვალებს, მის თეთრად  
მოელვარე ფართე კბილებს, და აღტაცებით გავუ-  
წიე ორივე ხელი. მან გრძნობით ჩამომართვა ხელი  
და მიმართა ძმას:

— ია, რა კარგი ბიჭი ყოფილა შენი ძმა, კირი-  
ლე, ყოჩალი!

— ორივე კარგი რევოლუციონერი ბიჭები მყავს,  
ენაცვალს მაგათ დედა, და მეც გამარევოლუციო-  
ნერეს ამ სიბერის დროს, — თქვა დედამ და მიმარ-  
თა ასისთავეს:

— აბა, სებასტიანე, შენ გაყევი აწი გზას, — და სე-  
ბასტიანეც გაუდგა გზას თავისი გრძელი ჯოხით.  
ჩეარა სტუმარი და ჩემმი ძმაც წავიდნენ ერთად. მე  
და დედამ კი დაკეტეთ სახლის კარი და ჩეენც  
გავემართეთ.

მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩეენ ქალაქგარეთ  
ვცხოვრობდით, მავრამ კავშირი კი ქალაქთან გვქონ-  
და. მიტინგი კარგა შორს, ტყეში იყო დანიშნული.  
გზაში ვხედავდით, როგორ მიღიოდა ხალხი მი-  
ტინგზე თითო-ოროლა, ხან სამსამი და ოთხოთხიც,  
მაგრამ ყველა მიღიოდა საქმიანი შესახედამით,  
ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, ვითომც საერთო  
არაფერი ჰქონდათ. დედაჩემი მიღიოდა, როგორც  
დაბარებული, აქეთ-იქით არც კი იყურებოდა, მაგ-  
რამ მე ასე მეგონა, რაღაც საოცნებო, მოჯადოე-  
ბულ ქვეყანაში ვიყავი.

მართლაც, თქვენ ვერ წარმოიდგენთ უფრო ლა-  
ბაზს და წარმტაც გზას: ირგვლივ ყველაფერი ყვა-  
ოდა, ყველაფერი მწვანედ ხასხასებდა, ყველა და  
ყველაფერი გალობდა, მლეროდა, ჭიკჭიკობდა და  
უსტვენდა. მაღლიდან მშე დაგვხაროდა და ნელი  
ნიავი აშრიალებდა ყანებში უკვე ტანაყრილ სიმინ-  
დსა და ოცხილის ნორჩ ფოთლებს. ჩვენ გა-  
ვედით დიდ ხილზე. ხილის ქვეშ ფირუზისფერი  
დიდი მდინარე მიჩრიალებდა თეთრი ქვებით მოფე-  
ნილ ფართე ჭალაპოტში და თეთრად აქაფებული  
ტალღებით ეხეოქებოდა და იფშვნებოდა დიდ ლო-  
დებზე. შევუდექით აღმართს, მივდიოდით მთავარი  
საურმე გზით და არსად ვუხვევდით ბილიკებზე.

— თუ კაზაკები დაგვესხნენ თავს, უთუოდ ამ  
გზით წამოვლენ, — ამბობდა დედაჩემი.

უკვე მივუახლოვდით მთაზე შეფენილ ტყეს,  
რომ ერთი ცხენოსნი კაცი შეგხვდა. ეს კაცი ჩვენი  
მახლობელი სოფლის აზნაურიშვილი იყო. მოვიახ-  
ლოვდა თუ არა, გაიღიმა და თავი დაუკრა დედაჩემს.

— ეკას სიცოცხლე! — მოიხადა მან ყაბალახი.  
— ცოცხლე, ბატონო! — მიუგო დედაჩემმა.  
— საით მიემგზავრები, ეკა ბატონო, ამ მზის-  
გულზე?

— აქეთ მული მყავს მზეკარს, ბატონო ბართლო-  
მე. თქვენ სად ბრძანდებოდით?

— მეც მზეკარს, ცოლისდაი მყავს, ბატონო  
ეკა, — თქვა მან, დაჰკრა ცხენს მათრახი და გააჩ-  
ქარა ქალაქისაკენ.

დედაჩემმა გააყოლა თვალი და თავი გააქნია:

— რა უნდოდა ახლა მაგას მზეკარს? ვინ იცის,  
მზეკარს კი იყო? აჯ, წმინდა წყლის კაცი არ  
უნდა იყოს.

— ჯაშუში ხომ არ იქნება, დედა?  
— აბა, რა ვიცი!



ავედით აღმართზე და შევჩერდით ტყის განაპირობა-  
ხები აქ უფრო მეჩხრად იყო ამოსული. მომგარჩიეთ  
ერთი უფრო მაღალი, ფოთლიანი და მოფარებული  
ხე და მაშინვე ავედი ზედ.

— გაიხედე, გზა მოჩანს!?

— ჲო, დედა, რასაკვირველია, მოჩანს, გზა კი  
არა, ჩვენი ქალაქიც კი იხედება აქედან.

— ხილს ხედავ?

— რასაკვირველია!

— აბა კარგი, იჯექი მანდ და თუ დაინახო,  
რომ მოდიან, მაშინვე სამჯერ ზედიზედ დასძახე, „კა-  
ფე-თესე“ გესმის, როგორც დაგვაბარეს, არ მე-  
ტი, არც ნაკლები, და მაშინვე ჩამოსრიალდი და  
გაიქცი, რომ არ დაგინახონ.

მე, ცოტა არ იყოს, მწყინდა დედაჩემის ამდენი  
ჩიჩინი, პატარა ხომ არ ვიყავი. ჩვენი სტუმარი  
რევოლუციონერად მოვლიდა, დედა კი ისე მელა-  
პარაკებოდა, როგორც პატარას.

— აბა, ახლა წავალ, — თქვა დედამ.

მე მაშინვე ჩამოსრიალდი ხილან.

— დედა, მეც წამოვალ, ვნახავ როგორ იქრიბე-  
ბიან და ისევ გამოვიკცევი.

დედა ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ დამთანხმდა.  
ჩვენ შევედით ხშირ ტყეში და გავედით ტყის გულ-  
ში, კარგა მოზრდილ მინდორში. აუარებელ ხალხს  
მოყარა თავი. ისმოდა თავშეკავებული ლაპარაკი,  
ნელი სიცილი. ხალხი იდგა ჯვუფჯვუფად და ბაა-  
სობდა. ერთ მხარეს რამდენიმე წითელი დროშა იყო  
წარწერებით და მარქსისა და ენგელსის სურათებით.  
ჩვენი ყველაზე წინ იყო წამოწეული და მზის სხი-  
ვებზე წითლად ციმციმებდა ოქრომკედით ამოქარ-  
გული სიტყვები. „ესტრადას“ ამზადებდნენ მოლაპა-  
რაკებისათვის.

ოჯ, რომ იცოდეთ, რარიგ მინდოდა დარჩენა და  
ყურის გდება, თუ რას იტყოდნენ, როგორ მინდოდა  
მომეშმინა ჩვენი სტუმრის სიტყვა! მე დარწმუნებუ-  
ლი ვიყავი, რომ მისი სიტყვები წარმტაცი და სას-  
წაულმომქმედი იქნებოდა, მაგრამ მე მას დაგპირ-  
დი... გამოვიქცი, გავედი ხეზე და დავიწყე ყუ-  
რება გზისაკენ. ვხედავდი, როგორ მიმოდიოდა  
ხალხი, ცხენოსნები და ქვეითნი, როგორ მიჭრია-  
ლებდნენ ურმები. ვხედავდი, როგორ მიიკლაკნებო-  
და მინდვრებსა და ყანებში ფირუზისფერი დიდი  
მდინარე, ვხედავდი თოვლით დაბურულს აჭარა-გუ-  
რის თეთრ მთაგრეხილს, ვხედავდი, როგორ მაღ-  
ლამალლა მიიწვედა ნათელ ცაზე მზე და მთასა და  
ბარს აბნევდა ბრწყინვალე სხივებს. ტყიდან კი მო-  
დიოდა გაურკვეველი გუგუნი. უცებ სიჩუმე ჩამო-  
ვარდა, და მაშინვე იგრიალა ტაშმა. „მოლაპარაკე  
ავიდა ტრიბუნაზე“ — გავითქმირე და მთლად სმენად  
გადავიქცეცი. არაფერი ისმოდა. ჩემი თვალები გზი-  
საქენ იყო მიმართული, გულისყური — მიტინგისაკენ.  
არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯერი ასე, რომ უცებ ისევ  
იგრიალა ტაშმა, „ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს პირველ  
მაისს!“ გაისმა ჰაერში და ისევ აგუგუნდა ხმა და

უცებ ისევ დაწყნარდა  
ყელაფერი. „ნეტავი  
ვინ ლაპარაკობს?“ —  
გავიფიქრე მე, რომ  
უცებ გორაკის ქვემო-  
დან ხეებში ბილიკით  
ჩუმად, უხმოდ ამოვი-  
დნენ ცხენოსანი კაზაკის  
ოფიცერი, მაზრის უფ-  
როსი და თან ამოჰყათ  
თოფებითა და შუბებით  
შეიარალებული კაზაკე-  
ბის რაზმი. მე იმათ  
ფართე საურმე გზით  
მოველოდი, ცხენების  
ფეხების თქარათქურით, და ისინი  
კი ჩუმად მომეპარნენ და გავშეშდი,  
თმა ყალყზე დამიდგა, კანკალმა  
ამიტანა და კინალამ ჩამოვარდი  
ხიდან.

ერთ წუთსაც არ მიფიქრია  
ჩემ თავზე. ვგრძნობდი მხოლოდ,  
თუ როგორ დაერეოდნენ ახლა ეს  
გააფთრებული კაზაკები და და-  
ხოცავდნენ ყველას, ყველას, წარ-  
თოვდნენ ღროშებს... და უცებ  
გამახსენდა სტუმრის სიტყვები:  
„გამარჯვება გაბედულებს ეპუთვ-  
ნისო“, მოვიკრიბე ძალონე  
და დავძახე „კაფე-თესე, კაფე-თე-  
სე, კაფე-თესე“ და კიდევაც მოაგ-  
დო თფიცერმა ცხენი ჩემ ხესთან.  
ოფიცერი და მაზრის უფროსი  
სჭრაფად გადმოხტენ ცხენებიდან.  
ოფიცერმა ჩუმი ხმით გასცა ბრძა-  
ნება:

— მოიმარჯვეთ თოფები, ნელა,  
უსიტყვოდ მომყევით, შენ გაგვიძეხი  
წინ! — მიუბრუნდა იმ კაცს, ჩენ  
რომ შეგვხვდა.

ეტყობოდა, კაცს არ უნდოდა  
წინ წასვლა.

— წინ რა საჭიროა? — თქვა  
მან გაუბედავად, — ამ ბილიკით  
პირდაპირ...

— ჰო, ჰო, გასწით, ბევრს ნუ  
ლაპარაკობთ. მე თვითონ ვიცი,  
რაც არის საჭირო. შენ კი, პახომენ-  
კო, — მიმართა მან ერთ კაზაკს, — ამ  
ცხენებს მოუარე, — და მიუგდო  
ლაგამი. ერთ წუთს ყველანი შე-  
ჩერდნენ, დაირაზმნენ.

— აბა, მწყობრად, ნაბდები  
გაისწორეთ ფეხზე, ფეხის ხმა არ  
გაიგონონ და არ გაიქცნენ.

კაზაკებმა დაიხედეს ფეხებზე,  
და მხოლოდ ახლა მიეხვდი, როგორ



შომეპარნენ: კაცებსაც  
და ცხენებსაც ნაბდები  
ნაჭრები ჰქონდათ ფე-  
ხებზე აკრული. შემდეგ  
გადმოილეს თოფები,  
მოილერეს სასროლად  
და გასწიეს მიტინგისა-  
კენ ფრთხილად და უხ-  
მოდ.

ოჳ, როგორ შინდო-  
და მეუვირა მოდიან  
მეთქი, მეშინოდა, ვაი  
თუ ვერ გაიგონეს ჩემი  
„კაფე-თესე“, ან ვერ მო-  
ასწრეს და შლა მეთქი,  
მაგრამ იმისიც მეშინოდა, რომ  
საქმე წამებდინა.

რაზმი მიიმალა ტყეში. კაზა-  
კმა პახომენკომ მოივანა ცხენე-  
ბი, მიეყრდნო ჩემ ხეს და წეროს  
მოუკიდა. ხელში დიდი მათრახი  
ეჭირა. მე არ ვიცოდი რა მექნა:  
გადმოვმხტარიყავი — დამინახვდა,  
არ გადმოვმხტარიყავი და რამდენ  
ხანს უნდა ვყოფილიყავი ხეზე  
შემჯდარი?

გადავწყვიტე: რაც იქნება, იქნე-  
ბა მეთქი, ჩუმად წამოესრიალდი და  
კარგა მაღლიდან გადმოვხტი ძირს.

ცხენები დაფრთხენ, თავზარ-  
დაცემული კაზაკი ყვირილით გა-  
დახტა იქით, მათრახი ხელიდან  
გაუვარდა და პირჯვრის წერას მოჰ-  
ყვა. მე ერთ წუთს შევწერდი. კაზაკმა  
რომ დამინახა, გონებაზე მოვიდა,  
წამოავლო ხელი მათრახს და გა-  
მოქანდა ჩემქენ. მაგრამ მე უკვე  
შორს ვიყავი, მივრბოდი, რაც ძალი  
და ლოხე მქონდა. ავირბინე ზევი-  
თა ბილიკზე და გადმოვიხდე-  
კაზაკს ერთი ცხენი უკვე დაეჭირა,  
ხეზე მიება და ახლა ძეორე მოჰ-  
ყავდა, აზნაურიშვილის ცხენი კი  
ქვევით ხილზე მირბოდა...

როდესაც კაზაკები მიგიღნენ  
მიტინგის ადგილას, იქ აღარავინ  
არ დახვდათ, გარდა ჯირკებისა,  
რომლებიც ესტრადის მაგიერობას  
სწევდა. მე რომ ზევითა ბილიკზე  
ავირბინე, ერთ ხის ძირს ამოფარე-  
ბული დედაჩემი დავინახე, მიცდი-  
და და მაშინვე გამოიქცა ჩემქენ.

— რა აბავია, დედა?  
— მშევიღობა! — მითხრა მან,—  
შენი „კაფე-თესე“ რომ გავიგონეთ,  
მაშინვე დავიშალეთ.

— სტუმარმა ილაპარაკა, დედა! ჩა ილაპარაკა,  
ქარგად ილაპარაკა?

— სტუმარმაც ილაპარაკა, კირილემაც და სხვებ-  
მაც. დროშებიც ავაფრიალეთ. ყველა საუცხოოდ  
ლაპარაკობდა, მაგრამ, რასაკვირველია, სტუმარი  
შველაზე უკეთ.

— დედა, სტუმარი? საღაა სტუმარი?

— ოჲ, სტუმარს ვერ ნახავ, ისინი უკვე წავიდ-  
ნენ ბათომში.

— დედა, წავიდეთ, იქნება დავეწიოთ, მე მინ-  
და კიდევ დავინახო.

— არა, დაიცა, ჯერ ჯარი წავიდეს!

ჩავჯექით და გზისაკენ დავიწყეთ მშერა. მართ-  
ლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ კაზაქების რაზ-  
მი დაუშავა შარაგზაზე. წინ ოფიცერი და მაზრის  
უფროსი, როგორლაც კისერმოლრეცილები, მიდიო-

დნენ ცხენებით. ეტყობოდათ, კაზაკებს 1917 წლის დეკემბერის 15-ის მოქმედი მოქმედი და მეტი ისმოდა იმათი ფეხის ცხა. იმათ ჭანახვაზე წამოვარდი, ხტუნაობა დავიწყე და სამჯერ ზედიზედ დაგძახე „კაფუ-თესე, კაფუ-თესე“ და „გაუმარჯოს პირველ მაისს, მუშათა დღესასწა-  
ულს!“

ზურგს უკან ხარხარი მომესმა. მოვიხედე და ჩვე-  
ნი სტუმარი, კირილე და ორი თუ სამი კაცი მოდი-  
ოდა.

— გაუმარჯოს პირველ მაისს, მუშათა დღესას-  
წაულს! — წარმოთქვა სტუმარმაც და ხელი გამო-  
მიწოდა, — ყოჩალ, ბიჭო გიგილავ, დღეს შენ გაი-  
მარჯვე, ის ასე უნდა იყო ყოველთვის. მზად მუშა-  
თა საქმისათვის! გახსოვდეს: გამარჯვება გაბედუ-  
ლებს ეკუთვნის, — მითხრა მან და უცებ წავიდა.  
ყველანი გაჰყუნენ და ხეებს მიეფარნენ.

## მარია გარეთაშვილი



პირმცინარე იას,  
გულჩახვეულ ვარდებს,  
მზეჭაბუქის ტრფობით  
ათრთოლებულ ველებს,  
გრძნობის ჩურჩულ-შრიალს,  
მიწის გულში ნადებს,  
მზის ხვევნაში შობილს  
ყვავილს უპირველესს, —  
ჩემი სალამი!

ვარსკვლავების ფიფქით  
ჩამოთვილ ლამეს,  
ხალისიან ფიქრით  
განათებულ დღეებს,  
სიოს, რომ მოგვითვლის

ნანახილან რამეს  
და ლიკლიკა წყარო  
სათქმელს მოამღვრებს, --  
ჩემი სალამი!

რა რომ გაზაფხული  
შემოაღებს კარებს,  
მიწას დაეფრქვევა  
მძივი ოქროსფერი,  
მეც ანთებულ გულით  
მაისს დავატარებ,  
მეც ვიცინა მზესთან  
და წყაროსთან ვმღერი:  
„მაისს სალამი!“

# კაჯალი

დასასრული \*)

— იმ ღამეს ნისლი იღგა და უგემურად ქინელლა-  
ვდა. ნოტიო სიცივე ძვალსა და რბილში უვლიდა  
ადამიანს, როცა ბაქოდან დაგვიანებული მატარებე-  
ლი თბილისის სადგურს მიადგა. ბაქანი და დიდი  
დარბაზი იშვალა და ახმაურდა. ჩემოდნებიანმა ხა-  
ლხმა ნიაღვირივით იწყო დენა. ხმაურობა უარესად  
გაძლიერდა და ამ საერთო ჩინქოლს რადიოს გამო-  
ძახილიც ზედ დაერთო: „ყურადღება, ყურადღება,  
ამხანაგებო! მატარებელი №59 ბათუმი-მოსკოვი 10  
წუთის შემდეგ შემოვა, მგზავრებს ვთხოვთ მოემზა-  
დოთ.“

ბაქოდან მოსული მგზავრები კი შესავალ კარებს  
აწყდებიან. აძონდილი და უქუდო ჯემალი თბილი  
ვაგონიდან ამ ტალღას გამოჰყავა და სიცივეზე  
ვერხვის ფოთოლივით იწყო კანკალი.

ო, ლამაზ ვაგონში როგორ თბილოდა, მერე რა  
ტკბილად ეძინა! ხეტავი ასე ერთი კვირა, ინ ერ-  
თი თვე ევლო, რომ დაესვენა და ამ სამოვნებით  
დამტებარიყო! რა კარგი იყავ, გმადლობთ, გმად-  
ლობთ! გაიფიქრა გულში ჯემალმა და დედათა და  
ბავშვთა ვაგონს მადლიერი თვალით გამოხედა.

ესეც დარბაზი. ახლა სადღა წავიდეს, ღამის  
10 საათია. წასავლელი ხალხი უკვე გავიდა. მაგ-  
რამ ჯემალმა გზა არ იცის და კვალი, იქნება დარ-  
თონ ნება, რომ ლამე აქ გაათენოს? აქ უფრო დიდი  
ქალაქი არ არის? აქ უფრო კარგად არ იქნება დედა-  
თა და ბავშვთა ოთახი მოწყობილი? — არა, არა,  
წავალ, — გადაწყვიტა ჯემალმა, სადგურის კიბე  
ჩაირბინა და ფრთო მოედანზე გავიდა. ეტლე-  
ბი, ტრამვაი, ავტობუსები და ჯავვები ჭიანჭველე-  
ბივით ირეოდნენ. გაოცებული ერთ  
ადგილას გაჩერდა. სად წავიდეს, რა  
ჰქნას, ამ აღიაქოთს როგორ გაარ-  
თვას თავი.

— ალბათ, აი, აქ გაისრისა საწყა-  
ლი მამაქმი. ალბათ, იმასაც ასე  
დაეხვია თავბრუ, როგორც მე...

ჯემალმა ცრემლები გადმოაბნია  
და უარესად ათროთოდა.

— სად მიხვალ, პატარა? — შეეკი-  
თხა აკანეალებულ ბავშვს თავზე წა-  
მომდგარი მილიციონერი. — აქ გაჩე-  
რება არ შეიძლება. სად მიდიხარ?

ჯემალს გაეხარდა, უბილან ამოილო  
დაკეცილი კონვერტი და მილიციო-  
ნერს გაუწოდა. მილიციონერმა კონ-

ვერტი ელნათურისაკენ შეატრიალა და სასტვენი  
ააჭვიოტინა. ჯემალს შიშით გული აუძგერდა, მაგრამ  
ისევ მალე დაწყნარდა.

— აი ეს ბიჭი უცატრონო ბავშვთა სახლში წაი-  
ყანე, თორემ, ეტყობა, ხამია და ამ ღამეს თვითონ  
გზას ვერ გაიგნებს, — ასე მიმართა უმცროს მილი-  
ციონერს და თან ჯემალს მიუბრუნდა:

— აბა წაყევი, ბიჭუნა, და იქ შენ ბედს ძალი  
არ დაჰყეფს.

მიღის ჯემალი, მილიციონერს ხბოსავით უკან  
მიჰყება, ხელები უბეში ჩაუწყვია და თვალებს  
აქეთ-იქით გაოცებით აცეცებს.

— ოი, ოი, რა უშველებელი. რა მშვენიერი  
სახლებია, ნუთუ მეც აქ ვიცხოვერები? რა ლამაზია!  
აგერ ბალი. ზამთარია და იქ კი მწვანე ხეები ამაყად  
დგანან. მერე რანაირად არის აქაურობა გაჩალებუ-  
ლი! სიზმარშიაც არ მინახავს ასეთი სილამაზე, მაგ-  
რამ იქნება სიზმარში ვარ?

— აი, ბიჭო, აქ არის, აქ შედი და წერილიც  
გადაეცი.

— ოპო, მაშ სიზმარი არა ყოფილა, — გაიფიქრა  
ჯემალმა და გულში მოუსვენარმა გრძნობამ უჩხელი-  
ტა. მილიციონერმა ალაყაფის კარებს ხელი ჰქია,  
გაალო და ბავშვს ჩამოეცალა. ჯემალი ალაყაფის  
კარებში შევიდა თუ არა, მილიციონერი უმალ შეტ-  
რიალდა და წავიდა. ის იყო ჯემალი წიწვიან ხეივა-  
ანს დაადგა, რომ ძის შემდეგ ვილაცა კაცმა ალაყა-  
ფის კარები ისევ შემოალო, ცარიელი ყუთი იქვი  
დადგა და კარები ჩანგლით ჩაკეტა.

— ალბათ, გვინ არის, ჩამიჩუმიც  
ალარ ისმის. აგერ აივანზე ელნათუ-  
რები ვილაცამ ჩააქრო. რა დიდი  
შენობაა, რა მშვენიერი ბალია, ნუთუ  
უცატრონო ბავშვები აქა ცხოვრო-  
ბენ? — ფიქრობს ჯემალი, მაგრამ არ  
იცის სად წავიდეს. ასე უდროოდ ვის  
დაუბრახუნოს კარები. ახლადშემო-  
სული ვილაც კაცი სადლაც გაქრა და  
ვისა ჰქითხოს გზა-კვალი. მერე ხომ  
ისიც შესაძლებელი, რომ ადგილი არ  
ჰქონდეთ და არ მიიღონ.

ჯემალს ამ ფიქრებით გული საშინ-  
ლად მოეწურა, რამდენიმე ნაბიჯი  
გაუბედავად კიდევ წადგა წინ და  
დიდი შენობის უკან გჩჩნდა. ორსარ-  
თულინი შენობის მრავალი ფანჯარა



...უბილან ამოილო დაკეცილი  
კონვერტი და მილიციონერს  
გაუწოდა...

\*) იბ. „პიონერი“, № 4.

შალში გამოდიოდა. ქვემოთა სართულის ოთახები სა-  
წოლებად იყო გამოყენებული და ერთი ფანჯრიდან  
ყველაფერი კარგად მოჩანდა, რადგან ნახევარი დარა-  
ბა ლია იყო. ფანჯრებზე სქელი და ლამაზი ქსოვილი  
ორ ტოტად იყო დაშვებული; მაგრამ შუაზე ეს ტო-  
ტები ერთმანეთს იძლენად დაშორებოდნენ, რომ ჯე-  
მალმა ყველაფერი მშევნივრად დაინახა.

ჯემალი ფანჯარასთან მივიდა და შეიხედა: სუფთა,  
ზეთრად გაქათქაობული საწოლები მრავალ წყებად  
იყო ჩამჭერივებული და ყველას ტკბილად ეძინა:  
უკვე ლამის 11 საათი იყო.

ამ დროს ქარი ამოქროლდა, ხეები უცნაურ ხმაზე  
აშხეულა და ჯემალს დაფლეთილ ტანისამოსში  
ხანჯლებივით დაურბინა. ბავშვი უარესად აკანკალდა.  
მაგრამ მას გაუბედობა ხელ - ფეხს უბორებავს, აღარ  
აცის სად წავიდეს. ყველას სძინავს და...

ქარის ყოველ დაბერვაზე ჯემალი თითქოს  
ეკლებით ივსება. მოთმინება ეკარგება. აგტრ ერთი  
ბავშვი შეიშმუშნა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა,  
იქნებ იმან გაიგონოს მისი დაკაკუნება, ისიც ხომ  
უპატრონოს და სწორედ ის მიუხვდება გულის ტკივ-  
ილს, როცა მას დაინახავს. ჯემალი ფანჯარასთან  
სულ ახლო მივიდა და ოდნავ დააკაკუნა. შიგნით  
სიჩუმე არ დარღვეულა. ქარი კი უფრო მძლავრად  
უბერავს და ჯემალს გულ-მუცელი ეთანგება. ბავშვმა  
ახლა უფრო თამამად დააკაკუნა, მაგრამ რაკი ეს  
კაკუნიც არავის არ გაუგონია, ბავშვს მწეხარებით  
გული აევსო, თანაც სტომაქის ტკივილიც აუვარდა,  
მან ვეღარ მოითმინა, იქვე ფანჯარასთან მოიკუნტა  
და გულამოსკენილი ტირილი ამოუშგა. საშინელი  
მძიმე მოსასმენი იყო ქარის გრილზე ხეების შეუი-  
ლი და ბავშვის უმწეო ქვითინი. ამ მუსიკამ კი თა-  
ვისი გაიტანა, ყველაზე უწინ ტირილი სერგეის შე-  
ესმა, თავი გაფორებით წამოყო, იდაყვზე დაეყრ-  
დნო და გაშტერებული თვალებით ყური დაუგდო.

ეჭვი არ იყო, გარეთ ვიღაცა ტიროდა.

ბავშვი საწოლიდან ფიცხლად წამოხტა და ფა-  
რდა შეარხია. დაორთქლილი შუშა ხელისგულით  
გაწმინდა და ლამის წყვდიადს გამოხედა. ტირილი  
იქვე ფანჯრის დირესთან ისმოდა. სერგეიმ თვალე-  
ბი ძირს დახარა და ფანჯარასთან მოკუნტულ არ-  
სებას თვალი რომ მოჰკრა, ფერწასულმა უკან მიი-  
ხედა.

— სერგეი, რა ამბავია, ვინა ტირის? — შემო-  
ესმა სერგეის შეშტოთებული, თუმცა დაბალი ხმა  
აღმზრდელისა.

— მასწავლებელო, ი აქ ვიღაცა ბიჭია, ტი-  
რის... — და ამ სიტყვებთან ერთად გაფითრებულ  
ბავშვს თვითონაც ცრემლები ჩამოსცვიდა. აღბათ,  
მას თავისი წარსული გაახსენდა და გული იმიტომ  
გაულხვა.

— რა გატირებს, სერგეი, აბა შენ ჩქარა დაწე-  
ქი, წყნარად იყავ, ბავშვები არ გააღიძო.

აღმზრდელმა შუბლი ხელით მოიჩრდილა და  
ფანჯარაში გაიხედა.

— აბა, სერგეი, მე წავალ და ახლავე გავიგებ  
რა ამბავია, შენ კი დაწექ, არ შეგცეცდეს.

სერგეი აღმზრდელის სიტყვას დაემორჩილა,  
ლოგინში ჩაწვა და მოლად სმენად იქცა.  
ცოტა ხნის შემდეგ კარების გასაღებები აჩხა-  
კუნდა, აღმზრდელმა სამზარეულოს კარები ლია  
დაინახა და მზარეულს შეეხმაურა:

— მაქსიმ, არა გძინავს? მზარეულმა ელნათუ-  
რით იქაურობა ჭფრო გააჩილა და გომიხედა:

— არა, ბატონო, არა მძინავს. რა ამბავი?

— ბალის პირ ფანჯარასთან ვიღაცა ტირის და  
არ ვიცი, ჩვენია თუ სხვისა.

მზარეულმა წუმწუმა და სანთელი უჯრიდან  
სწრაფად ამოიღო და ორივენი ფრთხილი ნაბიჯით  
ბალისაკენ გაეშურნენ. მზარეულმა ქარს ზურგი შე-  
აქცია, პალტოს კალთები სანთელს მოაფარა და  
აანთო.


— რომელი ხარ მანდა? — შორიდანვე შეეკითხა  
მზარეული.

პასუხის ნაცვლად ტირილი უფრო გაძლიერდა.

— ვინა ხარ, ბავშვო, ან აქ რად სტირი? — და-  
ყვავების კილოთი შეეხმაურა აღმზრდელი ქალი და  
ბავშვს დასწვდა. ჯემალი ცახცახით დაემორჩილა.

— მიშველეთ, ვკვდები! — ბავშვმა ხელი მუცელ-  
ზე იტაცა.

— მაქსიმ, ბავშვი წამოიყვანე, — მიუბრუნდა  
მზარეულს აღმზრდელი. მზარეულმა გამხდარი ბავ-



...ეჭვი არ იყო, გარეთ ვიღაცა ტიროდა...

შეი ჩალის კონასავით ხელში აიტაცა და მისალებრთაში ელექტროშუქი მჩესავით რომ განათდა, პატარა ბიჭის დანახვამ ორივეს გული მოუკლა. მთლად გაღურჯებულ ბავშვს აბურძენული თმები ყალყზე დასდგომიდა და ისე ცახცახებდა, რომ აღმზრდელი ხელად დატრიალდა.

— შენი ჭირიმე, მაქსიმ, მარო გააღვიძე და შენ ხომ წყალი ცხელი გექნება, ტაშტი მოიტანე და მიშველე, ბავშვს ფეხები ცხელ წყალში ჩაფაყოფინოთ.

აღმზრდელი ქალი ბავშვთან შივიდა და ქამრის გახსნა დაუწყო. უბიდან წერილი დასხლტა და ძირს დაეცა. აღმზრდელი დასწვდა და მისამართს დახედა.

— აჟა, აი წერილიც ყოფილა, რატომ არა სთქვი, მაგრამ რაღა წერილის დარღი გქონდა, შე საწყალო! აი ახლავე, ნუ გეშინია, — კიდევ დაუყვავა ბავშვს აღმზრდელმა, კარადიდან რაღაც შუშა გადმოილო, პატია ჭიქაში 25 წვეთი ჩათვალა, წყალი დაასხა და მიაწოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი მზად იყო. ბავშვისათვის თავით ფეხამდის სუფთად ჩაეცმიათ და საბანში გახვეულისათვის ცხელ წყალში ფეხები ჩაეყოფინებინათ. ჯემალს სახიდან სილურჯე გადასვლოდა და მისი დამშვიდებული თვალები ლამაზად იყურებოდნენ. იმ ღამეს წერილიდან გაიგეს, რომ უპატრიონო ბავშვი სასტიკ ბიძას სახლიდან გამოქცეოდა და ბევრი არა უკითხავთ რა, რადგან გვიან იყო და დაქანცულ ბავშვს მოსვენება ესაჭიროებოდა.

\* \* \*

გავიდა რამდენიმე ხანი. ჯემალს ყვითელი ფერი ვარდისფრად შეეცვალა და თმასხუჭუჭა ლამაზი ბავშვი ყველას საყვარელ ამხანაგად გადაიქცა. უწყინარი და ჭივიანი ბიჭი ბავშვებს ალერსიანად ექცეოდა, მასწავლებლებს მეტისმეტი სიყვარულითა და თავაზიანად ეპყრობოდა. ჯემალი ყველას თავის ბეღნიერების მიზეზად თვლის და ყველა უყვარს, მაგრამ ამხანაგებში ალექსი ჩუბაროვი მეტისმეტად შეითვისა. ალექსი ჩუბაროვესაც ჯემალი ქვეყანას ერჩია, ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ, ერთად სწავლობდნენ და ერთად თამაშობდნენ.

ერთ დღეს ბავშვთა სახლს რაღაც მოწყენილობა დაემჩნა. ბავშვები დაღონებული სახით შევიდნენ კლუაში, მასწავლებლებსა და ხელმძღვანელებს სრულიად არ დასჭირებიათ მათი დაწყნარება. ყველაზე ცელქი ვალიკო ძიმისტარაშვილი აბუზულ წიწილასვით იჯდა, თითქოს ძილისაგან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო.

— თინა, ალექსი როგორ არის? — დაეკითხა ერთერთი დამლაგებელი ახალგაზრდა მასწავლებელს და ცოცხი გაჩერა.

— ძალიან ცუდად არის, ექიმებს იმედი აღარ აქვთ, — დაღონებით უთხრა თინამ და იზოლატორისაკენ გაეშურა.

— საწყალი ბავშვი! უბედურ მდგომარეობის გადაურჩა, ლოთი მამის ცემატყებასა და შემშილს ამისშორებულ გამოქცა და დახე, გაბედნიერებული და გამშენიერებული ბავშვი საღ კვდება! — თავისი გაიფიქრა დამლაგებელმა და დარბაზის დაგვა განაგრძო.

ყველაზე დაღონებული კი ჯემალი იყო. ამხანაგის ავადმყოფობის დროს ალექსის წარსული სურათები ჯემალს სულ თვალწინ უდგა.

ალექსი რუსეთიდან მატარებელს პაცანასავით გამოჰყოლოდა. თვითონაც არ იცოდა საღ მიდიოდა. მატარებელმა ბაქოში ჩამოიყანა, ბაქოდან თბილისში, და აქ კი ერთ დღეს, როცა დაღლილ და შშიერ ბავშვს ერთ კარებთან ჩაეძინა, ვიღაცა კაცი თავს წამოადგა და ამ ბავშვთა სახლში წამოიყვანა. მას შემდეგ ორი წელიწადი გავიდა. ლამაზმა ცხოვებამ ტანჯვის წყლულები მთლად დაუშოშმინა. ბავშვი ძლიერ ნიჭიერი აღმოჩნდა. ერთხელ, როცა ის მასწავლებლის პირდაპირ იჯდა და მის წაკითხულს სხვებთან ერთად ყურს უგდებდა, ალექსიმ ხელში ფანჯარი მოიმარჯვა, ცალკე მერჩხე გადაჯდა და მაღალი ბავშვის ზურგს უკან ამოფარებულმა თამარის სახის ხატვა დაიწყო. თამარმა კითხვა გაათავა, წაკითხულის გარშემო ბაასი გააბა ბავშვებთან. ალექსი ისევ იჯდა და ხატვდა. მას დაავიწყდა, რომ კლასში იჯდა. თამარი ადგა, ბავშვებს ხელით ანიშნა, რომ ხმა არ ამოელოთ, და ფეხაკრეფით ალექსისთან მივიდა. დახედა, თავისი თავი იცნო და ისევ უკან გამოტრიალდა. ალექსიმ უკანასკნელად სურათს კიდევ ერთი ხაზი გაუსვა და მორჩა.

— მასწავლებელო, რა მშენიერია, აი თქვენი სურათი, სულ თქვენა ხართ, — ახმაურიდა პატარა შავი გოგონა.

— უი, მართლა, რა ძლიერ გეგხართ, რა კარგადა ხართ! — ატეხეს ქრიმული გაოცებულმა ბავშვებმა და ყველა ალექსისთან მოგროვდა. ბავშვს შერცხვა და სურათი დამალა.

— აბა, ალექსი, მაჩვენე, მაჩვენე, რა დახატე, თორემ, ხედავ, შენმა საქმიანობამ რა უწესოება ჩამოაგდო!

ბავშვები თავის ადგილას დასხდნენ, ალექსი დაიძრა და მასწავლებელს მიუახლოვდა, სურათი გაუწიდა. თამარმა დახედა და სწორედ იმგვარმა ღიმილმა გაუნათა სახე როგორიც სურათზე ჰქონდა ალექსის აღბეჭდილი.

— ყოჩაღ, ალექსი, შენ ძალიან კარგი მხატვარი იქნები, ყოჩაღ, ბიჭო! — შეაქო თამარმა, და მას შემდეგ ალექსი საღამობით სამხატვრო სასწავლებელში იგზავნებოდა.

დღეს კი ეს ნიჭით საგსე ბავშვი სიცოცხლეს ემშვიდობებოდა. ჯემალს ორი ცრემლი მოსწყვდა და საშინელი მოუსვენრობა იგრძნო.

— მასწავლებელო, ცოტა ხნით გამიშვით, — უთხრა მან მასწავლებელს და მოუსვენარი სახით შეხედა.

— ჰო, წადი, ჯემალ, წადი, — ნება დართო შეწუხებულ ბავშვს მასწავლებელმა.

ჯემალი კლასიდან გამოვიდა და მასწავლებელთა ოთახის კარი წყნარად შეაღო. იქ მისი ვიოლინი ინახებოდა, რომ საერთო დარბაზში ხელი არავის ეხლო. ჯემალმა კოლოფი კარაციდან გამოიღო, გახსნა და ვიოლინის ფრთხილად შეეხო. ღრმა და გულსაკლავი ხმებით აიგსო ოთახი. ჯემალს თავი დავიწყოდა და უფრო ხმამაღლა დაიწყო დაკვრა. ყველა დაფაცურდა, გაუკვირდათ, რომ სწავლისა და გლოვის უამს ჯემალი ვიოლინის უკრავდა.

ყველაზე უწინ გამგემ დატოვა ავადმყოფის ოთახი და სამასწავლებლო ოთახისაკენ გეშურა, ფრთხილად შეაღო კარი და გაოცდა: ჯემალს თვალთაგან ცრემლი სდიოდა და ისე იყო მწუხარე ჰანგით გატაცებული, რომ არავითარი ხმა ირგვლივ აღარ ესმოდა.

გამგე შეძრწუნდა, მიხვდა, რომ ჯემალი ძლიერ მწუხარე ახალ ჰანგს თხზავდა და ხმა ვეღარ ამოიღო.

— მხანაგო გამგე, — ამ წამს შემოესმა მას მომგლელი ქალის ჩურჩული. — ალექსიმ თვალი გაახილა, ალექსიმ ხმა ამოიღო, ვილაცას უძახის.

გამგე სიხარულით გამოტრიალდა, იზოლატორის კარი შეაღო და აქამდის მიმეგდარებულ ბავშვის სახეს თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი შეამჩნია. გაუკვირდა და სიხარულით გული აუგეგრდა.

— ჯე-მა-ლი აქ მო-ვი-დეს, — ჩურჩულით ძლიერ წამილულულა ავადმყოფმა. გამგე მიხვდა მის სურვილს და ალერსიანად უთხრა:

— ეხლავე, ჩემო ალექსი, ეხლავე, — და გამგე ისევ სამასწავლებლო ოთახისაკენ გამოეშურა.

— ჯემალ, ჩქარა, ალექსის შენი ნახვა უნდა.

მაგრამ ჯემალს შეხმატურება არ გაუგია: სახეშეცვლილი ბავშვი ისეთი გულდასმით, ისეთი დიდი გრძნობით უკრავდა, რომ იმ ხმების მეტი მას ალარაფერი ესმოდა. გამგე მივიდა და მხარჩე ხელი დაადო. ხმები შეწყდა.

— შენი ჭირიმე, ჯემალ, ალექსი თითქო შენ დაკვრაზე გამოერკვია და გეძახის.

ჯემალმა ვიოლინო ძირს დაუშვა და გამგეს თვალები მიაშტერა. როცა მან თხოვნა გაუმეორა, ჯემალი მოწყდა აღგილიდან და იზოლა. ტორისაკენ გაეშურა. უკან გამგე გამოედევნა. როცა ჯემალმა კარი გააღო და ბავშვების თვალები ერთმანეთს შეხვდენენ, ალექსიმ გაიღიმა, ჯემალს კი გული ისე მოეწურა, საყვარელი ამხანაგი ისე შეეციდა, რომ კინალამ ხმამაღლა მორთო ტირილი, მაგრამ გამგეს შეხედა და თავი შეიმაგრა. ბავშვი მოელი სხეულით ტკანკალდა და გვერდზე მიდგა.

— დაუკარ, ჯემალ, შენმა მუსიკამ თითქოს რაღაცა ძალა მომცა, — გამგის ყურთან ძლიერ დაიჩურჩულა ავადმყოფმა და თვალები ვიოლინის მიაპყრო.

— გესმის, ჯემალ, დაუკარ, ალექსის უნდა, რომ დაუკრა.

ჯემალმა ვიოლინის ხელი ისევ შეახო და ნაზი, ოღონდ ძალუმი ხმა მშვენიერი ჰანგისა შორს, შორს გაიჭრა.

ის იყო და ის. არავითარ წამალს ასეთი გავლენა არ მოუხდენია, რაც ჯემალის დაკრულმა მუსიკამ გაკეთა.

ბავშვის თვალებს ორი თვის განმავლობაში ძილი არ მიჰქარებია. პირველ ხანებში, როცა საქმე გაჭირდა, ავადმყოფს ბანგით აძინებდნენ, მაგრამ შემდეგ ალარც ეს საშუალება მოქმედებდა, და ბავშვი უსაოუნდ უნდა დაღუპულიყო, შემთხვევით ჯემალის მუსიკა ღრობები რომ არ მოშველებოდა.

ჯემალი იმ წამს თვალდახუჭული რაღაც სასოფტით უკრავდა, ალექსი კი სუსტად იღიმებოდა, მერე თვალები იმანაც დახუჭა და ლრმად და მშვიდად ჩაეძინა.

მეორე დღეს დაწყნარებული ალექსი ჯემალს ხელზე თავის გამხდარ ხელს ნაზად უსვამდა და სუსტი ხმით ეუბნებოდა:

— ახლა კი მოვრჩი, ჩემო მქურნალო, შეწმა მუსიკამ გულიდან თითქოს რაღაც ლოდი გადამიგრორა. ის ლოდი სუნთქვას მიყრავდა, მახრჩობდა და გუშინ ღამე კი ისე მეძინა, როგორ გათენდა არ გამიგია.

ალექსის ნალაპარაკევი ექიმსაც გადასცეს.

— დიალ, ადვილი შესაძლებელია ეს ასე იყოს, — დასძინა დინჯად ექიმმა. — მძიმეთ დაავადებული აღამიანის ნერვებზე ზოგჯერ მუსიკა ასეთ გავლენას ახდენს ხოლმე. მაგ ბავშვის ნერვებით დაავადება, აღბათ, მაგისი მამის საშინელი სენის შედეგია და მართლა დაიღუპებოდა, რომ შემთხვევით იმ პატარა კომპოზიტორს არ დაეხსნა, მაგრამ ერთი მიბრძნეთ, — მიუბრუნდა ექიმი გამგეს, — ჯემალი რამდენი ხანია, რაც მუსიკას სწავლობს?

— ორი წელიწადია, — უპასუხა მან და ნაღვლიანად გაიღიმა. — მაგრამ ამ ბავშვს ახლა მუსიკალური სფერო გვედავება, ჯემალს გვართმევენ, თუმცა ჯემალის პირადი ცხოვრებისა და საზოგადო საქმისათვის ასე სჯობია. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი, რასაკვირველია, იმათ ეკუთვნით და მის ძალუმ ნიჭს ისინი უკეთესად წარმართავენ, ვიდრე ჩვენ. ოღონდ მისი და ალექსის მოშორება ჩვენი თავშესაფრისათვის მეტად ძნელია, ბავშვებზე მათ ძლიერ დიდი გავლენა ჰქონდათ.

— მაშ ალექსისაც გზავნიან რუსეთში?



ჯემალი ახალ ჰანგს თხზავდა

— დიახ, ესეც მეტად წიჭიერი მხატვარი აღმოჩნდა, ჩვენი ბავშვების თვალი და მაგალითი ესენი იყვნენ, — ნალვლიანი კილოთი ამბობდა გამგე.

\* \* \*

ამ ლაპარაკის შემდეგ სულ არ გასულა ერთი წე-

ლიწადი, რომ გაზეთები ახმაურდნელ შესანიშნავ ჰატა-  
რა კომპოზიტორზე, რომელიც ლენინგრადში მუსიკის  
კოსთა კონკრეტულ იყო გაგზავნილი. იმავე გაზეთე-  
ბში 14 წლის პატარა ბავშვი ეხატა და ქვემოთ ეწერა:  
უნიჭიერესი პატარა კომპოზიტორი ჯემალ მუსტაფა  
ოღლი გასანოვი.

## სანებო ჟღენი

# ურკუნძის მოთვარე

სად ყოფილხარ, რა გინახავს,  
რამდენი მთა მოგივლია...  
გაპყოლიხარ ზღვიდან ზღვამდე  
ხან ქარიშხალს და ხან ნიავს.

რით გაევეთა გრიგალები  
მაგ პატარა ფრთების ძალამ,  
დიდმა გზების მრისხანებამ  
გულიც კი ვერ შეგიცვალა.

ბევრ ხიფათს და შიშით კანკალს  
აიტანდი, ალბათ, გზაში...  
მოგივლია მწევერვალები,  
კავკასიის მთების მსგავსი.

კვლავ იგონებ, რაც გინახავს:  
ხალხის ყოფას გულის საკლავს,  
ვინ შეხვდება მოლიმარი  
განთიადს და ცისკრის ვარსკვლავს!

სადღაც ბავშვი გდია ობლად,  
დედა კვნესის, მიწას ზარავს...


ოხ, მერცხალო, შენც გენახოს  
გაზაფხული იქაც ჩქარა!

მაშინ მეტად იჭირების კედები,  
ველ-მინდვრებში გაშლი ხალისს,  
მოყრინდები, თან მოგყვება:  
სიყვარული მშობელ მხარის.

შენც დატქბები სამშობლოში,  
გაგეხსნება გულის კარი,  
ფრთა გაწურე, მოიარე  
სხივმოსილი მთადაბარი.

ინავარდე და ბარტყებით  
დაამშვენე ბუდე ახლად...  
ეგ ჭიაჭია გაგყვეს თანა,  
შემოდგომით როცა წახვალ.

ჩვენი ტურფა გაზაფხული  
იქაც დაგხვდეს მშედ და ვარდად,  
სიხარული შორს, იმ ზღვამდის,  
გაგეშალოს ფიანდაზად.





პიესა ორ მოქმედებად

**მომზადები პილი**

1. გენადი რაზმაძე . . . სამხედრო ინჟინერი
2. ქეთევანი . . . გენადის მეუღლე, მასწავლებელი
3. ნოდარი . . . ამათი ვაჟი, 7 წლისა

4. მართა . . . „მოსამსახურე“
5. უცნობი . . . ჭალარა, მართას თანამემლები
6. შალვა . . . ნოდარის ამხანაგი, 10 წლისა.

**მომზადება პილი**

სცენა: კონტად მორთული ოთახი, გენადი რაზმაძის ბინა. მარცხნივ ქარი, მარჯვნივ, როდესაც კარი გაიღება, მოჩანს გენადის სამუშაო ოთახი, რუკები, წიგნები და სხვ. სცენაზე არიან ქეთევანი და ნოდარი. ქეთევანი წიგნს კითხულობს, ნოდარი თავისითვის „მზეერაბას“ თამაშობს, ხელში ხის თოფი უჭირავს, თავზე მუზარადი ახურავს. ფარდას ამოეჭარება.

ნოდარი — (ჩურჩულებს) ჩემო ათეულო, ფრთხილად. მზეერავების ცნობით, მტერმა დაარღვია საზღვარი №... ნომერი არ ვიცი, ნომერი ჩუმად. მივეპაროთ („თოფს“ მოიმარჯვებს და ქეთევანს ეპარება) ბუჟ... ხელები ზევით!

ქეთევანი — (შეკრთება) ახ, როგორ შემაშინე, შე ანცო, შენა!

ნოდარი — (სერიოზული სახით) ხელები ზევით მეთქი!

ქეთევანი — (ლიმილით ხელებს ბსწევს) ა, ავწიე, ახლა რას მიპირებ? მე ჯაშუში არა ვარ.

ნოდარი — თავს ნუ იყატუნებთ. ვინცა ხართ, მაგას ახლავე გამოვარკვევ. წამოდი მამაჩემთან! (მიირენს გენადის ოთახთან, უკაკუნებს) მამაჩემო, ამხანაგო მამაჩემო!

ხმა — ნოდარ, ხელს ნუ მიშლი, ემუშაობ.

ნოდარი — (წყენით) ვმუშაობ... ვმუშაობ... მაშ, რა ვქნა ახლა მე? (ქეთევანს) რაკი მამაჩემს არ სცალია, თქვენ თავისუფალი ხართ, ახლა წაღით, როცა მამაჩემი მოიცლის, მაშინ ხელახლა დაგიჭერთ.

ქეთევანი — (იცინის) ჩემო შვილიკო, ჩემო პატარა რა ბიჭი!

ნოდარი — მე პატარა ბიჭი არა ვარ, მე უკვე დიდი კაცი ვარ (დედიკოს ეხვევა).

ქეთევანი — ნოდარ, დღეს შენ რა უნდა გააკეთო?

ნოდარი — რა უნდა გავაკეთო?

ქეთევანი — პო, რა არის შენი ამოცანა?

ნოდარი — ჩემი ამოცანა? პირველი: უნდა შევხვდე ჩემს ახალ მოსამსახურეს. მეორე: უნდა მივესალმო. მესამე: უნდა შევისწავლო, რა პიროვნებაა: სახლში ჯაშუში არ შემოგვეპაროს.

ქეთევანი — (იცინის) ჩემო ფხიზელო ბიჭიკო, ყოჩალი...

ნოდარი — დედიკო, მითხარი, მალე მოვა?

ქეთევანი — ვინა, შვილო?

ნოდარი — მოსამსახურე.

ქეთევანი — არ ვიცი. გაზეთში ოთხი დღეა, რაც გამოვაცხადეთ, რომ გვჭირდება მსახური მცირებულებანი ოჯახისათვის, ჯერ კი არავინა ჩანს. ევ ბუნებრივია, მოსამსახურები ახლა იშვიათად შეგხვდება, ყველას თავისი ოჯახი აქვს სასამსახურო.

ნოდარი — მაშ შეიძლება არ მოვიდეს, არა?

ქეთევანი — შეიძლება.

ნოდარი — მაშინ მე მომწყინდება. დედიკო, დედიკო, მართლა არ მოვა?

ქეთევანი — არ ვიცი, შვილო.

ნოდარი — მაშ მამას ვკითხავ.

ქეთევანი — მამას ნუ აწუხებ, ხომ გითხრა ვმუშაობომ.

ნოდარი — ჯერ ნებას ავიღებ.

ქეთევანი — კარგი, პეტებე.

ნოდარი — (მიირენს მამის ოთახთან) მამა, მამიკო...

ხმა — რა გნებავს?

ნოდარი — (დედას) გესმის, რა გნებავსო, ე. ი. შეიძლება ვკითხო. მამიკო, შეიძლება ერთი შეკითხვა?

ხმა — შეიძლება.

ნოდარი — მოვა თუ არა დღეს ჩეენი მოსამსახურე?

ხმა — არ ვიცი.

ნოდარი — არ ვიცი, არ ვიცი. მაშ ვინ იცის? მოიცა (მიირბენს თავის ყუთთან, ამოიღებს ტიკინა-დათვს, დასვამს და ეკითხება) დათუნია, მითხარი, მოვა თუ არა დღეს ჩეენი მოსამსახურე? ა? ა? მიპასუხე! დათუნია, თავი დააქანე, ა?

(შემოდის გენადი)

გენადი — (გამოდის პორტფელით) რაო, ნოდარ, არც დათუნიამ იცის?

ნოდარი — (მამას მოეხვევა) მამა, მამიკო, ის მაინც მითხარი, ვის ეცოდინება, მოვა თუ არა?

გენადი — მე.

ნოდარი — მერმე, რად არ მეუბნები? ხომ მოვა?

გენადი — მოვა, უსათუოდ მოვა, მაგრამ...

ნოდარი — რა მაგრამ?

გენადი — თუ შენი ცელქობითა და შეკითხვებით არ მოასენე, იგი ისევ წავა.

ნოდარი — არა, არა, სულ არ შევაწუხებ, ერთ შეკითხვასაც არ მივცემ.

გენადი — კარგი. მაშ მოვა. ახლა კი ნუ შემაწუხებ ბებ ბევრი შეკითხვით (შუბლზე აკოცებს). მე მივლივარ. (ქეთევანს) ქეთევან, 4 საათზე ვიქნები შინ. თუ რამე დაგჭირდეს, დამირეკი.

ქეთევანი — კარგი.

ნოდარი — ჩემთვის წიგნები არ დაიგიწყო.

გენადი — მოგიტან, მოგიტან. კარგად იყავით. ნოდარ, დედა არ შეაწუხო (გადის).

ქეთევანი — ნოდარ!

ნოდარი — გისმენ, დედიკო.

ქეთევანი — მითხარი, ისწავლე თუ არა ლექსი?

ნოდარი — გისწავლე.

ქეთევანი — მაშ მითხარი.

ნოდარი — ახლავე:

„ჩემი მეგობარი“

ყვავილებით საესე ბალში

მივალ და მიმიხარია,

ვინც უვლის ბალში ყვავილებს, — ის ჩემი მეგობარია.

დიად სამშობლოს საზღვრებზე ხან დარი, ხან ავდორია,

ვინც მტკიცედ იცავს ჩეენს საზღვრებს, — ის ჩემი მეგობარია.

ჩეენი ჰაერის გმირები

არწივზე მალლა მდგარია,

ვინც გრიგალს არ უშინდება, — ის ჩემი მეგობარია.

ვინც მზედ გვინათებს ამ ქვეყნად, მტრებისთვის შიშის ზარია,

მას ჩეენ დიდ სტალინს ვეძახით, — ის ჩეენი მეგობარია!

ქეთევანი — (ტაშს უკრავს) ყოჩალ, შვილო!

ნოდარი — ხომ კარგია, ა?

ქეთევანი — კარგია.

ნოდარი — ძალიან, ძალიან, ძალიან კარგია, ხომ?

ქეთევანი — ძალიან, ძალიან, ძალიან კარგია.

ნოდარი — გინდა ახლა მეორე ლექსი წავიკითხო?

ქეთევანი — წაიკითხე.

„კრუხი და წიწილები“

კრუხმა თქვა: კრუხ, კრუხ, კრუხ...

(კაკუნი) ვიღაცა აკაკუნებს?

ქეთევანი — მობრძანდით!

(შემოდიან მართა და უცნობი)

მართა — (კარგებს შემაღებს) შეიძლება?

ქეთევანი — მობრძანდით, მობრძანდით.

ნოდარი — ვაშა, მოვიდა!

მართა — (შემოდის უბრალო ტანსაცმელით, ხელში პატარა ფუთა უჭირავს. მას მოჰყვება უცნობი) გამარჯობათ!

ქეთევანი — იცოცხლეთ, დაბრძანდით (ნოდარი სკამს მიაწვდის მოსულებს).

უცნობი — სალამი! თუ არა ვცდები, აქ ცხოვრობს მოქალაქე გენადი რაზმაძე.

ქეთევანი — დიახ, მე მისი მეულელე ვარ.

ნოდარი — მე შვილი. რა გნებავთ?

ქეთევანი — მოიცა, ნოდარ.

უცნობი — მეონი, თქვენ გჭირდებათ მოსამსახური რე მცირერიცხვანი ოჯახისათვის.

ქეთევანი — დიახ.

უცნობი — აი ჩემი ძმისწული, ობოლი, იყო, მე გავზარდე. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, კეთილსამედო მშრომელია.


ქეთევანი — ჩეენც ასეთი მოსამსახურე გვჭირდება.

უცნობი — მე სიამოვნებით დავთანხმდი თქვენს ოჯახში სამსახურზე, მიტომ რომ ვიცი, აქ ცოტა რამეს ისწავლის კიდეც.

ქეთევანი — ჩეენთან თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. პასპორტი ხომ გაქვთ?

მართა — (მორცხვად) არა, სოფლიდანა ვართ.

ქეთევანი — მაშ მოწმობა მაინც გექნება კოლმე-ურნეობიდან, ან სოფსაბჭოდან.





უცნობი — ეგ არის, აი, ინებეთ (აშვდის ქალალდს) ქეთევანი — კეთილი (ათვალიერებს). მაშ ასე. მართა, არა?

უცნობი — დიახ, მართა.

ქეთევანი — დღეიდან ჩვენთან იქნები.

მართა — კარგი, ქალბატონო.

ქეთევანი — ქალბატონო კი არა, შეგიძლია ქეთევანი დამიძახო.

მართა — ეგრე მოვიქცევი.

უცნობი — მორცხია (იცრემლება), მორცხი, მთლად დედამისა ჰგავს. დედამისი, საბრალო პარასკევა, კეთილი ქალი იყო. კიბოთი გახდა ავად და იმან იმსხვერპლა. ჩემი ძმა, მაგისი მამა, კი მენშვერიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. მე ინვალიდი ვარ. გოხოვთ ნუ დამიშლით ხანდახან მოვიდე აქ და ვინახულო ჩემი მართა, ან ხომ გამოუშვებო ჩემთან?

ქეთევანი — როდესაც უნდა, ექვსდღიურში ერთხელ კინოში ან თეატრშიც წავა. აკი მოგახსენეთ, თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში.

უცნობი — ბედნიერი ვარ, ბედნიერი.

ქეთევანი — (გამოიტანს არაყს, დაუსხამს) მიირთვით, ეს ჩვენი მეგობრობის საღლეგრძელო იყოს.

უცნობი — მე არაყს თითქმის არ გეახლებით, მაგრამ რაკი ასეთი ბედნიერი დღე დამიღვა, დავლევ. (აიღებს სასმისს) ეს ჩვენს ბედნიერ შეხვედრას გაუმარჯოს. „იცოცხლეთ, იმხიარულეთ, მოგცეთ ადამის დღენია“... (უნდა დალიოს)

ნოდარი — „უწინამც მოგვაქვლევინოს ჩვენზე მოსული მტერია“.

უცნობი — დიახ, პატარავ, მეც ეგრე მინდოდა მეთქვა. გაიზარდე! (დალევს) იცოცხლეთ!

ქეთევანი — გაამოთ.

უცნობი — მეტს არ დავლევდი, მაგრამ მე ისე კმაყოფილი ვარ, რომ უთუოდ კიდევ უნდა დავლიო (თვითონ დაისხამს).

მართა — სირცხვილია, ბიძია, სირცხვილი.

ქეთევანი — როგორ გეკადრებათ, მიირთვით, მოხუცო, მიირთვით, ეტყობა, გიყვართ არაყი.

უცნობი — დიახ, არაყი მიყვარს, მეც ვუყარებარ არაყს (გადაპრავს). როცა არაყს დავლევ, მავიწყდება ტანჯევით და წამებით სავსე ჩემი წარსული. ეს მარჯვენაც ხომ ომში დავვარევ, რუსეთ იაპონიის ომში, მაშინ მე სალდათი ვიყავი. ბოდიში, მე ძალიან გავაბი. ახლა დროა ჩემი წასვლისა. გმადლობთ პატივისცემისათვის! (მართას) ბედნიერი იყავი, შეილო ჩემო (ქეთევანის). თუ წებას მომცემთ, ხანდახან შემოვივლი მართას სანახავად.

ქეთევანი — მობრძანდით, მობრძანდით.

უცნობი — ნახვადის.

ქეთევანი — კარგად იყავით. (მართას) ყური მიგდე.

მართა — გისმენთ.

ქეთევანი — მინდა გაეცნო შენს მოვალეობის საუნდა აკეთო.

მართა — ბრძანეთ.

ქეთევანი — ჯერ შენი ფუთა დადევი აქა (კუთხეს უთითებს). დილით დაალაგებ ოთახებს, პირსაბანში ჩასახამ წყალს, ხანდახან სასაღილოდან კერძს მოიტან, დილით კი უთუოდ აღრე აადულებ ჩაისა და რძეს, პურს მოიტან. გასაგებია?

მართა — გასაგებია.

ქეთევანი — ხომ არ გაგიძნელდება ყოველივე ეს? მართა — როგორ გეკადრებათ.

ქეთევანი — ჰო, დაალაგებ ამას და საძინებელ ოთახს. ჩემი მეუღლის გენადის კაბინეტში (უთითებს) კი შესვლა არ შეიძლება, მის კაბინეტს მხოლოდ მე დავალაგებ. გაიგე?

მართა — გავიგე. ესე იგი ამ ოთახში შესვლა არ შეიძლება.

ქეთევანი — ნურც ზელმეტ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენ. ბიძასაც ნუ ეტყვი, რომ სამხედრო ინჟინრის იჯახში მსახურობ.

მართა — გასაგებია.

ქეთევანი — წერა-კითხვა იცი?

მართა — არა, არ ვიცი, ბიძაჩემს ჩემთვის არ მოუცლია.

ნოდარი — ოჳო, ეგ კარგია.

ქეთევანი — რა არის კარგი, შვილო?

ნოდარი — რომ მართამ წერაკითხვა არ იცის.

ქეთევანი — ვითომ რატომაო?

ნოდარი — მე ვასწავლი. ეს საინტერესოა, მეც გავხდები მასწავლებელი. თუ გაკვეთილი არ ეცოდინა, ცულს დავუწერ. მაშ ასე, მე მართას მასწავლებელი ვარ.

ქეთევანი — შენც თავს ნუ მოაბეზრებ შენის შეკითხვებით.

ნოდარი — არა, პირიქით, მე დღეში მხოლოდ 25 შეკითხვას მივცემ. აი, მაგალითად, მართა, ხომ იცი, როგორ იწერება ა—ანი.

მართა — მცხვენია, მაგრამ არ ვიცი.

ნოდარი — არაფერია, გასწავლით. ნალი ხომ გინასახვას სოფელში?

მართა — მინახავს.

ნოდარი — აი ნალი დახატე თავდალმა, ეს არის ი.

ქეთევანი — ნოდარ, დღეს დაასვენე, ხვალ დაიწყეთ მეცადინეობა, მეც მოგეხმარებით (მიდის კარისკენ, აღებს კარს, კარი ვიღაცას მოხვდება) აქ ვინ არის?

უცნობი — ბოდიში, ეს მე ვარ.


ქეთევანი — თქვენები?! აქ რა გნებავთ? არ წასულ-ხართ?

მართა — ბიძაჩემო!

უცნობი — მე ისევ მოვბრუნდი.

მართა — შენ უკვე მთვრალი ხარ.

უცნობი — დიახ, მოხუციდი და ლვინო მალე მეკიდება. მე მოვედი ბოდიშის მოსახდელად: დამა-



ვიწყდა და არ დამილევია თქვენი მშობლების  
სადღეგრძელო.

ქეთევანი — მაღლობას მოგახსენებთ. შემდეგისა-  
თვის გამოიარეთ.

მართა — კარგს იზამ, თუ სულაც არ გამოივლი.

ქეთევანი — არა, უმჯობესი იქნება, როცა ფხი-  
ზელი იქნებით, მაშინ გვინახულოთ. ნახვამდის.

უცნობი — ბოდიში, თუ რამე გაწყენიეთ (მიდის).

ქეთევანი — მართა, რა კაცია ბიძაშენი?

მართა — მართალი რომ გითხრათ, ძალიან ცუდი  
კაცია, ლოთობს, უყვარს ლაყბობა და თავის  
ქება, დედაკაციებით ჭორიკანაა.

ქეთევანი — ეს არ მომწონს, საჭირო არ არის,  
რომ მან ხშირად იაროს ჩვენთან.

მართა — მეც მაგის მომხრე ვარ, მე მეჯავრება  
იყი.

ნოდარი — რატომ?

მართა — როცა დათვრება, უსათუოდ მცემს.

ნოდარი — შენ ნუ გეშინია, მე მილიციელს გამო-  
გუძახებ.

მართა — რამდენი დაცინვა ამიტანია მაგის ხელში,  
უსწავლელი, გაუნათლებელი დავრჩი.

ნოდარი — არაფერია. ახლა აქ ისწავლი უველა-  
ფერს, ბიძაშენის კი ნუ გეშინია... შენ იცი  
რამე ჩაპაევის შესახებ?

მართა — არა.

ნოდარი — კინოში არ დადიოდი?

მართა — არა.

ნოდარი — ზღაპარი იცი?

მართა — ცოტა.

ნოდარი — სიმღერები იცი?

მართა — არა.

ნოდარი — მოსაწყენია: არა, არა და ცოტა. მაგ-  
რამ არაფერია, ყველაფერს გასწავლი. შეიძ-  
ლება პიონერთა რაზმშიც ჩაგწერო. რამდენი  
წლისა ხარ?

მართა — ბიძაჩემბა მითხრა ოცდაერთისაო.


ნოდარი — მაშ პიონერად არ მიგიღებენ.

ქეთევანი — ნოდარ, მოდი ჩემთან (ნოდარი მიღ-  
ის ქეთევანთან) გამომყე გარეთ, რაღაც უნდა  
გითხრა (ნოდარი და ქეთევანი გადიან).

მართა — (მატო) რა კარგი ოჯახია. კეთილი,  
პატიოსანი... (ფიქრობს) მაშ სამხედრო ინჟენ-  
რის გენადი რაზმაძის სამუშაო ოთახში შეს-  
ვლა არ შეიძლება... კარგი, ეგრე მოვიქცევი,  
ყეყეჩი ბიძაჩემი რად უგდებს ყურს ჩვენს საუბ-  
არს, ხომ იცის, მე ბავშვი არა ვარ, ხომ იცის,  
რომ ამ ოჯახში სამხედრო და სახელმწიფო  
საიდუმლოებაა. ყეყეჩი...

ფ ა რ დ ა

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# ლილი რეი საგირიკოსი

ათ მაისს ორმოცდათო წელი შესრულდა გი-  
ნიალური რუსი მწერლის, დიდი სატირიკოსის მი-  
ხეილ ევგრაფის-ქე სალტიკოვ-შჩედრინის გარდაც-  
ვალებიდან. 1889 წელს გარდაიცალა იგი.

საყვარელი მწერლის დაკარგვამ საყოველთაო  
გლოვა გამოიწვია მთელს ქვეყნაზე. შჩედრინის  
ქვრივს ყოველი მხრიდან მოსდიოდა სამძიმები.  
თბილისის მუშებმაც გაუგზავნეს მას მიმართვა. აი  
რას წერდნენ ისინი მიმართვაში:

„ნება გვიბოძეთ ჩვენ, მუშებს,  
გამოგიცხადოთ ჩვენი მწუხარება  
თქვენ მიერ დაუვიწყარი და ძირ-  
ფასი მეუღლის სამწუხარო დაკარ-  
გვის გამო. მიხეილ ევგრაფის-ძის  
სიკვდილმა დამწუხრა ყველა, ვი-  
საც გულწრფელად სურს თავისი  
სამშობლოსათვის სიკეთე და ბეღ-  
ნიერება. მისი სახით რუსეთმა და-  
კარგა სიმართლისა და თავისუფ-  
ლების საუკეთესო, საპართლიანი  
და ენერგიული დამცველი, მებრ-  
ძოლი ბოროტებასთან, რომელსაც  
იგი თავისი ძლიერი გონიერითა და  
სიტყვით ძირშივე გმირავდა“.

ასე აფასებდნენ შჩედრინს მუ-  
შები, ასე აფასებდნენ ყველანი,  
ვისაც უყვარდა სიმართლე, პატი-  
ოსნება და სამართალი.

უდიდესი აღამიანი უდიდესთა შორის — ვლადიმერ  
ლენინი საუცხოვო იცნობდა შჩედრინს. მას ხში-  
რად მოჰყავდა მაგალითები გენიალური მწერლის  
ნაწარმოებებიდან, იყენებდა შჩედრინის ტიპების უმ-  
დიდესებს გალერეას, მახვილ სახეობებებსა და  
დახასიათებებს, შესანიშავ გამოთქმებს.

ლენინის ნაწერებში შჩედრინის ყველა ტიპები-  
დან ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება  
იუდუშე. ოდესარი ლენინმა ამ სახელით დადა-  
ღა ხალხის საზიზხარი მტერი, ფაშისტი  
ტროკი. გასაოცარი შორსმჭერეტელობით დაინა-  
ხა მაშინ მან ამ საზიზხარ გარეწარში გამცემლისა  
და თავალთმაქცის თვისებები.

დიდ სტალინს ხშირად მოჰყავს თავის მოხსე-  
ნებებში შჩედრინის სიტყვები, იყენებს მის სიტყვები-  
სა და ტიპებს მტრებთან, გადაგვარებულებან და  
ბიურკრატებთან ბრძოლაში. 1931 წელს სოციალის-  
ტური მრეწველობის მუშაქთა პირველ სრულიად-  
საკავშირო კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში  
„სამეურნეო მუშაქთა ამოცნები“ ამხანაგი სტალინი  
ამბობდა:

„რას ნიშნავს ხელმძღვანელობის გაწევა წარ-  
მოებისათვის? ჩვენში ყველთვის გაოშევიკურად  
არ უყვარდენ საწარმოთათვის ხელმძღვანელობის  
გაწევის საკითხს. ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ

ხელმძღვანელობა ნიშნავს ქალალდზე ხელის მოწერას.  
ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. ზოგჯერ უნე-  
ბურად გაგონდება შჩედრინის პომპალურები. ხომ  
გახსოვთ, პომპალური ქალი როგორ ასწავლიდა  
ჭიუას ახალგაზრდა პომპალურის: თავს ნუ იმტკრევ  
მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუკვირდები საქმეს,  
დევ სხვებმა ა იყოთნ ეს, შენი საქმე არ არის ეს,—  
შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქალალდზე ხელის  
მოწერა. ჩვენდა სამარცხევინოდ უნდა გამოვტყვდეთ,  
რომ ჩვენს შორისაც, ბოლშევიკებს შორისაც, ცო-

ტა არ არიან ისეთები, რომელნიც  
ხელმძღვანელობას სწევენ ქალალ-  
დებზე ხელის მოწერით“.

სალტიკოვ - შჩედრინი წერდა  
მართლად, ამხელდა მოხელეების  
სისაძაგლეს, მათ ბოროტებას. იგი  
კარგად იცნობდა მაშინდელ ეპო-  
ქას, თავისი თვალით ჰქონდა ნა-  
ხული ბატონიშვილის საშინელე-  
ბანი.

გამამაფრებული ბატონიშვილის  
ხანაში, 1826 წლის 15 იანვარს დაი-  
ბადა შჩედრინი. ბავშობილანვე იგი  
ხედავდა, თუ როგორ არაადამიანუ-  
რად ეპურობოდნენ თავადები ყმებს.  
ეს აღმოფოთებას იწვევდა მომავალ  
მწერალში. იგი იმსჭვალებოდა სი-  
ძულვილით ბატონიშვილისადმი, მე-  
ფის თვითმშეცვლილობისადმი.

როცა ახალგაზრდა შჩედრინმა დაწერა თავი-  
სი პირველი მოხსრობები „წინააღმდეგობანი“ და  
„აწეშილი საქმე“ — მეფის მოხელეები სულ ერთია-  
ნად გაცოცლდნენ. ამ მოხსრობებისათვის იგი ვიატ-  
კას გადასახლეს, სადაც თითქმის 8 წელი გაა-  
ტარა.

მაგრამ სალტიკოვ-შჩედრინი უკან არ იხევდა.  
ის ჰქონდა ახალ-ახალ დიდებულ ნაწარმოებებს, რომლებიც  
მიმართული იყო მეფის რეუმის წი-  
ნააღმდეგ. მან დაწერა „გუბერნისკი ოჩერკი“,  
„პომპალურები“, „ერთი ქალაქის ისტორია“ და  
მრავალი სხვა.

ყველა ეს ნაწარმოებები მშვენიერია და ჩვენ-  
თვის ძეირთვისად. ჩვენ გვიყვარს შჩედრინი, ვკით-  
ხულობთ და გსწავლობთ მას. ჩვენ მუდამ უნდა გვახ-  
სოვდეს, თუ როგორ აფასებენ სალტიკოვ-შჩედრინის  
მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადე-  
ბი ლენინი და სტალინი, თუ როგორ იყენებენ  
მის ნაწარმოებებს მტრებთან ბრძოლაში.



1610 წელს უდიდესმა ფიზიკოსმა და ასტრონომმა გალილეიმ, რომელმაც პირველად ოღმართა ცისაკენ ტელესკოპი, აღმოაჩინა, რომ პლანეტა იუპიტერს ახლავს ოთხი მთვარე — თანამგზავრი.

282 წლის შემდეგ ასტრონომმა ბარნარმა ტელესკოპში შენიშნა იუპიტერის მეხუთე თანამგზავრი.

1904-1907 წლებში პერნერმა და მელოტმა აღმოაჩინეს კიდევ 3 თანამგზავრი ამ პლანეტისა. 1914 წელს კი ამერიკელმა ასტრონომმა ნიკოლსონმა შემთხვევით აღმოაჩინა მეცხრე თანამგზავრი.

გავიდა კიდევ 24 წელიწადი და იმავე ნიკოლსონმა შენიშნა, რომ იუპიტერს — მზის სისტემაში ამ ყველაზე დიდ პლანეტას — ახლავს კიდევ ორი თანამგზავრი. ნიკოლსონის ახალი აღმოჩენა მოხდა ჩენი დროის უდიდესი ტელესკოპის საშუალებით, რომლის გამაღილებელი შუშის დიამეტრი 2,5 მეტრს უდრის.

ახლადაღმოჩენილი ცის სხეულების თანდათანობით შესწავლა ჯერ კიდევ ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ ისინი უდიდეს ინტერესს იწვევენ მეცნიერებაში.

უკანასკნელად აღმოჩენილი მთვარები ძალიან პატარები არიან: მათი განიგი 20 კილომეტრს თუ მიაღწევს. შეადარეთ ისინი იუპიტერის მესამე ან მეოთხე თანამგზავრის, რომელთა დიამეტრი 5.000 კილომეტრს აღემატება.

მეოთხე თანამგზავრის ორბიტი თითქმის ემთხვევა მექქსე და მეშვიდე თანამგზავრის ორბიტებს. ის მოძრაობს იმავე მიმართულებით, როგორითაც მეექსე და მეშვიდე თანამგზავრები და ირგვლივ უვლის იუპიტერს 260 დღის განმავლობაში.

შემდეგი ახლადაღმოჩენილი თანამგზავრი — მეთერთმეტე — მოძრაობს საწინააღმდეგო მიმართულებით, ისევე, როგორც მერვე და მეცხრე და იუპიტერს უვლის ირგვლივ 692 დღის განმავლობაში.

ამ სამი თანამგზავრის ორბიტები ძალიან ახლო არიან ერთიმეორესთან.

ამრიგად, იუპიტერის ირგვლივ მოძრაობენ არა მხოლოდ ცალკეული თანამგზავრები, არამედ ორი ჯვეფი თანამგზავრებისა, რომლებიც შეღებიან სამსახურისაგან. ერთი ამ ჯვეფთაგანი იუპიტერისაგან დაშორებულია 1:1 მილიონი კილომეტრით, ხოლო მეორე — 24 მილიონი კილომეტრით.

უველა ამას ასტრონომები მიჰყაეს იმ აზრამდე, რომ იქნებ იუპიტერის ირგვლივ არის ჯაჭვი პატარა თანამგზავრებისა, მსგავსად ეგრეთწოდებული ასტეროიდებისა, რომლებიც მოძრაობენ მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის.

საფიქრებელია, რომ იუპიტერთან კიდევ იქნება აღმოჩენილი ბევრი პატარა თანამგზავრი. შესაძლებელია ეს მიღწეულ იქნას იმ გიგანტური ტელესკოპით, რომლის გამაღილებელ შუშას ექნება ხუმეტრიანი დიამეტრი და რომელსაც ამზადებენ ამჟამად ამერიკაში.



## გალაქების სახელწოდებანი

(გეოგრაფიული გასასიღაო)

ს თხოვე ამხანაგს ჩაიფიქროს რომელიმე ქალაქის სახელწოდება, რომელსაც გამოცვლილი აქვს სახელი.

მართალია, შენ არ ცი, თუ რომელი ქალაქი ჩაიფიქრა ამხანაგმა, მაგრამ მაინც შესძლებ ამ ქალაქის არა მარტო ახალი, არამედ ძველი სახელწოდების გაგებასაც. ამისათვის ამხანაგს აჩვენე ქვემომოყვანილი 4 ცხრილი.

I

ლენინგრადი  
სტალინსკი  
ცხაკია  
კალინინი  
იოშკარ-ოლა  
ორჯონიქიძე  
წულუკიძე  
ლენინაკანი

II

ფრუნზე  
სტალინსკი  
კიროვაბადი  
კალინინი  
მიჩურინსკი  
ორჯონიქიძე  
მახარაძე  
ლენინაკანი

IV

კრასნოდარი  
ცხაკაია  
კიროვაბადი  
კალინინი  
კუბიბიშევი  
წულუკიძე  
მახარაძე  
ლენინაკანი

VIII

მახაჩ-კალა  
იოშკარ-ოლა  
მიჩურინსკი  
ორჯონიქიძე  
კუბიბიშევი  
წულუკიძე  
მახარაძე  
ლენინაკანი

ამხანაგმა უნდა გითხრას ამ ოთხი ცხრილიდან (I, II, IV და VIII) რომელშია მისმიერ ჩაფიქრებული ქალაქის სახელწოდება, შემდეგ შენ № 5 ცხრილის (გამომცნობი) საშუალებით გაიგებ ჩაფიქრებული ქალაქის სახელწოდებას.

ამისათვის საკმარისია შეკრიბო რიცხვები, რომელიც ცხრილების ზევით წერია, და ციფრების ჯამი მოგცემს ქალაქის სახელწოდებას № 5 ცხრილში.

ვთქვათ, მაგალითად, ჩაფიქრებულია ქ. ორჯონიქიძე როგორც ჩანს, იგი I, II და VIII ცხრილებშია. შეკრებ მათ I—II—VIII და მიიღებ 11.ს. მე-11 ქალაქი № 5 ცხრილში არის კავკავი. მართლაც, ქ. ორჯონიქიძის ძველი სახელწოდება კავკავია.

## გამოგცეობი

ცხრილი № 5

ძველი სახელწოდებანი

- |                  |                    |
|------------------|--------------------|
| 1. პეტროგრადი    | 9. ცარევო-კოკშისკი |
| 2. პიშტეკი       | 10. კოზლოვი        |
| 3. კუშნეცი       | 11. ქავეკავი       |
| 4. ეკატერინოდარი | 12. სამარა         |
| 5. სენაკი        | 13. ხონი           |
| 6. ელიზავეტბოლი  | 14. ოზურგეთი       |
| 7. ტვერი         | 15. ალექსანდროპოლი |
| 8. პეტროგრადი    |                    |